საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ბრძანება №26

თბილისი „24“ 07 2018 წ.

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან/სერიებიდან სკოლის მიერ სასწავლო პროცესისათვის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევის ვადის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „მ“ და „ჩ“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტის და „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილისთვის - თეიმურაზ მურღულიასთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 20 ივლისის N12 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 23 ივლისის N936395 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გასაცნობად ხელმისაწვდომი იყო (ბრძანება N199, 06.03.2018 წ, წყარო: www.grifireba.emis.ge) მათი საჯარო განხილვის ვადაში (05.03.2018 წ.-01.04.2018 წ.) და აგრეთვე, მიმდინარე წლის 18 ივლისიდან (წყარო: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში - e – school), როგორც გრიფის მინიჭების კანდიდატები, აღნიშნულის გათვალისწინებით, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან/სერიებიდან სკოლის მიერ სასწავლო პროცესისათვის კონკრეტული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის არჩევის ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2018 წლის 27 ივლისი.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისის, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის მოადგილე